



4341/3-2/21 2 14052021



4341/3-2/21  
14-05-2021

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს

ბატონ მიხეილ ჩხენკელს

ბატონო მიხეილ,


საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის ინტერპელაციის 149-ე მუხლის თანახმად, პარლამენტის წევრთა შვიდეკაციანი ჯგუფის სახელით გიგზავნით შემდეგ კითხვებს:

- სახელმწიფო პრიორიტეტად გამოცხადებული განათლება ბოლო ათწლეულია რეგრესს განიცდის. კვლევები მოწმობს, რომ არათანმიმდევრული რეფორმების შედეგად ვითარება ყოველწლიურად უარესდება. იზრდება განათლების ბიუჯეტი,წელსაც დამატებით 64 მლნ. ლარი გამოიყო თუმცა არათანმიმდევრული პოლიტიკის შედეგად:
  - მოსწავლეთა აკადემიური მიღწევებით ქვეყნის უკანასკნელ ათეულში ვართ.
  - „ახალი სკოლის მოდელის“ დასაწერად გაწეულია დანახარჯები (75 მლნ. ), თუმცა შედეგები არ იზომება.
  - მასწავლებელთა პროფესიული სქემა - 2015 წლიდან დღემდე 66 მლნ. უჯდება სახელმწიფოს, მაგრამ მივიღეთ სახელმწიფო აუდიტის დასკვნა (2017-2019 წლების მონიტორინგის საფუძველზე) გახარჯული რესურსების არაეფექტურობასა და უსისტემობაზე.
  - პროფესიული განათლების ჩავარდნა ყოველწლიური 65 მლნ. -იანი ბიუჯეტის მიუხედავად.
  - როდემდე შეიძლება გაგრძელდეს სახელმწიფო ბიუჯეტის უშედეგო ექსპერიმენტებში ფლანგვა?
- ვისი პასუხისმგებლობაა სკოლის ფინანსური და მმართველობითი დეცენტრალიზაციის ჩავარდნა? როგორ აპირებთ ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფას? რატომ გადაიდო დირექტორთა გამოცდები გაურკვეველი ვადით? დღეის მდგომარეობით 2083 სკოლიდან 1022 სკოლაში გვყავს მოვალეობის შემსრულებლები. რატომ არ წყვეტთ ექსპერიმენტებს მასწავლებლის პროფესიაზე და ტრენინგ მოდულებით დაქანცულ მასწავლებლებს დროს არ უტოვებთ მოსწავლესთან სამუშაოდ? როდემდე უნდა იყვნენ ყველაზე დაბალანაზღაურებად მოხელეებად განათლების სექტორში დასაქმებულები? ინფლაციისა და ფასების ზრდის პარალელურად, რა გეგმა გაქვთ სახელფასო პოლიტიკის გამოსასწორებლად?
- როგორ აპირებთ დისტანციური სწავლებითა და Covid-19 პანდემიით გამოწვეული სასწავლო დანაკარგების რემედიაციას? რა პროგრამები აქვს შემუშავებული სამინისტროს ხარვეზის აღმოსაფხვრელად? მაშინ როცა მთელი მსოფლიო ცდილობს პანდემიით მიყენებული აკადემიური ზიანის აღმოფხვრას, რა გეგმა აქვს ჩვენს განათლების სამინისტროს? როდესაც:


- ოფიციალური მონაცემებით 50 000-ზე მეტ მოზარდს არ ჰქონია წვდომა ინტერნეტსა და კომპიუტერზე.
- 9000-მდე სსსმ მოსწავლისთვის შეზღუდული იყო განათლების ხელმისაწვდომობა.
- გვყავს 76 000 სტატუსშეჩერებული სტუდენტი.
- შეწყვეტილი იყო პროფესიული განათლების პროგრამები.

პატივისცემით


პარლამენტის წევრი  
თეონა აქუზარდია



პარლამენტის წევრი  
გიორგი ვაშაძე




პარლამენტის წევრი  
გრიგოლ ვაშაძე




პარლამენტის წევრი  
ზურაბ გირჩი ჯაფარიძე



პარლამენტის წევრი  
ხათუნა სამნიძე



პარლამენტის წევრი  
პაატა მანჯგალაძე



პარლამენტის წევრი  
დავით ბაქრაძე

